თანხმობის წერილი

21 მარტი 2012 წ.

შპს „დიამონდი“ (ს/კ 200114875), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა თვარაძის სახით თანახმაა, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბი.აი.ჯი“-ს (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფის) (ს/კ 204559156) (როგორც ფართის „მოიჯარის“) მიერ მოხდეს შპს „დიამონდი“-ს საკუთრებაში არსებული ფართზე, მდებარე: ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, მიკრო/რაიონი “ა”, 58-ე კორპუსისა და ფორე მოსულიშვილის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N 01.11.12.017.057) გარე ფასადის დიზაინის შეცვლა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბი.აი.ჯი“-ს (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფის) წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან შესაბამისი ნებართვის მისაღებად მიმართონ ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს. აგრეთვე უფლებამოსილნი არიან წარუდგინონ მათ ფართის გარე ფასადის არსებული სიტუაციის ფოტო მასალა და დიზაინის ფოტო მონტაჟი, აგრეთვე სხვა საჭირო დოკუმენტაცია და მასალები და შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული ნებართვის მიღებასთან.

შპს „დიამონდი“-ს დირექტორი

ლაშა თვარაძე (პ/ნ 01024060468)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120286074
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.03.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	რუსუდან ფიფია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 22-36-78
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	85931669261112

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო, ქ. თბილისი ოცდაერთი მარტი ორი ათას თორმეტი წელი

მე, ნოტარიუსი რუსუდან ფიფია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ №10-ში, ვამოწმებ თანხმობის წერილზე **შპს „დიამონდი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 200114875) დირექტორის **ლაშა თვარაძის** (დაბადებული 29. 07. 1973 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბაკურციხის ქუჩა №13-ში, პირადი №01024060468) ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით.

დავადგინე ლაშა თვარაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსმა რუსუდან ფიფიამ თანხმობის წერილი წავუკითხე ლაშა თვარაძეს, რომელმაც განაცხადა, რომ თანხმობის წერილის შინაარსი შეესაბამება შპს „დიამონდი"-ს ნებას.

ლაშა თვარაძის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმდა თანხმობის წერილის ერთ ეგზემპლარზე.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 2 ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ 0.36 ლარი + სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), სულ 4.36 ლარი.

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/

21.03.2012 14:14